ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2899471

ნომერი: AR1447035

თარიღი : 12.10.2016

გაცემის თარიღი : 21.10.2016

გაცნობის თარიღი : 21.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 79 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ღამბაშიძე პ/ნ 01027010089
- თბილისი III მასივი VIII კვ. კორ. 15 ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.09.2016წ. №2819485 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 12/10/2016წ. AR1447035 განაცხადით მომართა გიორგი ღამბაშიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 06.09.2016წ. №2819485

ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 06.09.2016წ. №2819485 ბრძანებით, შეთანხმდა: ქ. თბილისში, ქუჩა ჩარგალი, №79, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.12.04.001.094), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 06.09.2016წ. №2819485 ბრძანებაში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, წარმოდგენილ გეგმებსა და განსაზღვრულ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არის შეუსაბამობა რაც გამოწვეულია მექანიკური შეცდომით, კერძოდ: საცხოვრებელი ფართობის 2576.7 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 2603 კვ.მ, საზაფხულო ფართობის 885.7 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 871.8 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის 371.8 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 379.1 კვ.მ, დამხმარე ფართობის 7.3 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 7.2 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 577.9 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 570.4 კვ.მ, საერთო ფართობის 4419.4 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 4431.5 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად
ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს გიორგი ღამბაშიძის 12/10/2016წ. AR1447035 განცხადება;
2.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.09.2016წ. №2819485 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელი ფართობი დაფიქსირდეს 2603 კვ.მ, საზაფხულო ფართობი დაფიქსირდეს 871.8 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი დაფიქსირდეს 379.1 კვ.მ, დამხმარე ფართობი დაფიქსირდეს 7.2 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი დაფიქსირდეს 570.4 კვ.მ, საერთო ფართობი დაფიქსირდეს 4431.5 კვ.მ;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.09.2016წ. №2819485 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.